

კლდე და მდინარე

I

კლდეს შეეზღუდა ხეობა.
რაზეც მდინარე დიოდა, -
სალსა, ასპიტსა, დიდრონსა
ფერფლიც-კი არა სცვიოდა.
მდინარე უყეფს: "გზა მომეც,
კლდეო, გამიშვი წინაო;
აქ ქვა-ლოდებზე ხტომამა
ძალიან დამაშინაო...
მინდა, რომ ბარად ჩავიდე,
იქ მოვიპოვო ბინაო.
გამიშვი, შენი ჭირიმე,
აქ ყოფნა მომეწყინაო".
და თან კლდის კალთას ეხვევა,
ხელ-ფეხს უკოცნის ზვიადსა,
ვით ბავშვი თავის ღედასა,
ვედრებას ეტყვის ფრიადსა.
- "რას ამბობ, ცეტო? დკლდე ამბობს, -
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
მე მოვკვდე, შენ-კი იტლინკო,
სად თქმულა, რომელ მხარესა?!"
როგორ კარგი რამ მირჩია,
უყურებთ გასახარებსა!"
ათასჯერ სთხოვა მდინარემ,
ათასჯერ ქუდი უხადა,
მაგრამ კლდემ ისევ და ისევ
თავისი გამოუცხადა.
მდინარე მაინც არ ტყდება,
თუმც ცდა მიუღის ცუდადა,
მაინც კლდეს ეალერსება,
გადიქცა კატის კნუტადა.
კლდე შუბლს არ იხსნის, მაღლიდან
მდინარეს დასცქერს მრუდადა,
- არ შეიძლება, -ბუტბუტებს, -
თუნდა გაიჭრა ხუთადა.
სხვა გზა მოსმებნე, სხვა მხარეს,
ნუ ამეთრიე კუდადა!..
ეს სთველში მოხდა, როცა
წყალთა და ბალახთ მცრობა...
მდინარე იმედს არ ჰკარგავს,
შეუდრეკელია გმირობა!..
მძიმე რამ ზამთარი იქნა
იმ წელს, -ორ ადღზე დათოვა;
გაზაფხულს ზვავმა მდინარეს
უხვად სინესტე აწოვა:
ჯაგარ-აშლილი მოგრგვინავს,
მთა და ბარს აქცევს ქოთითა;
კლდეს აღარ ეალერსება,
კარზე მიუხტა შფოთითა;
უტევს, აღადრის გულ-მკერდსა,
ვით ვეფხვი თვის მსხვერპლს ტოტითა.
კლდეზე ტალღები ტყლაშუნობს,
თითქოსა სცემდენ შოლტითა!
კლდე წარბს არ იხრის, იძახის:
"აბა რას მიზამთ, მოდითა!"
მდინარეც უკან არ იხევს,
მორჭმული სალტა-კოტითა:
"გამიშვი, თორო დაგანგრეე!" -
თან დაჰკიჟინებს ხმიანად,
და თითო დაკვრა ლახტისა
სჩანს კლდისა დამაზიანად.
ერთი თვის შემდეგ კლდე ბორგავს
და აღარ ამბობს ჰკვიანად!
გაჰხუნებია საჩერნე,
ჯაჰვ-მუზარადი ხმლიანად;
ლამის რომ გმირი დამარცხდეს

და გახდეს ოხერ-ტიალად, -
იქცეს მის ტყლაპად, სათელლად,
მის ტალღთა დასაყიალად.

II

მეხუთე კვირა შესრულდა
კლდის და მდინარის ბრძოლისა,
და საქმე მოხდა საგრძნობი
ცისა და მიწის შორისა:
კლდისა მოისმა ქვითინი,
მედგრად გაისმა ჯახანი,
წყალმა მეორე მხარესა
კლდისას გაიღო ჩქაფანი,
და გაიჭიმა ხევზედა.
როგორც გუთანში ჭაპანი,
ქედსა ასწია ამაყად,
შეთამაშა ფაფარი;
დოსტოდრივ მიდის უშიშრად,
არა სჭირდება ჩაფარი,
ანგრევს, რაც უშლის მგზავრობას,
დალეწა ყველა საფარი.
ნიშნს უგებს კლდეს და მისძახის:
"შენი ბიჭობა სად არი?!"
ახალის სანახავითა
გაოცებულა მთა-ბარი.
გალაღებული ჭალაზე
მაიზლანუნება მღერიტა;
სამო სანახავია
გამარჯვებულის ფერიტა.
ხარობენ ის და ქვეყანა
ერთმანეთისა ცქერიტა...
წავიდა, გაივაკევა,
ჰრწყავს და უმღერის ველებსა,
თან ატრიალებს ტალღებსა,
ვით მოთამაშე ხელებსა.

1899 წ.